პროექტის ფაქტები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული სექტორის მხარდაჭერა საქართველოში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო (ENPARD) პროგრამის მე-4 ფაზის ფარგლებში

განხორციელების ვადა: 18.12.2021 - 30.11.2026

EaP ქვეყნები:
Georgia

მთლიანი ბიუჯეტი: € 9 700 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
FAO, SIDA, CzDA

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
www.faocebook.com/FaoGeorgia

პროექტის ვებსაიტები: www.fao.org/georgia

პროექტის აღწერა:

პროექტი წარმოადგენს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მე-4 ფაზის ნაწილს და ეფუძნება ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარებისა და სურსათის უვნებლობის პროექტების ფარგლებში დაგროვებულ გამოცდილებას. პროექტი სამი ძირითადი მიმართულებისგან შედგება. პირველი მიმართულება ფოკუსირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მისი სააგენტოებისა და სურსათის უვნებლობის ჭრილში სხვა რელევანტური სამინისტროებისა თუ ინსტიტუციების ადმინისტრაციული, საოპერაციო და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე. პროექტი ასევე დაეხმარება მომხმარებელთა ასოციაციებსა და კერძო სექტორს.
მეორე მიმართულება დაკავშირებულია მეწარმეებისა და საკვები ბიზნესოპერატორების ხელშეწყობაზე მხარდამჭერი პაკეტების მეშვეობით, რაც ტრენინგებსა და ინვესტიციის შესაძლებლობებს მოიცავს, რომელთა მიზანია ახალი სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების მიღების უზრუნველყოფა და სურსათის უვნებლობის რეგულაციებისა და მოთხოვნების მიღება.
პროექტის მესამე მიმართულება დაეხმარება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეგიონალურ და მსოფლიო ბაზრებზე ექსპორტს, ხოლო განსაკუთრებული აქცენტი ევროკავშირის ბაზარზე გაკეთდება. პროექტი ექსპორტს შეუწყობს ხელს რამდენიმე აქტივობის მეშვეობით, მათ შორის აკრედიტირებული ლაბორატორიული სერვისებით და ექსპორტის წახალისებით.

მოსალოდნელი შედეგები:

1. ინსპექციებისა და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებული ხარისხი და მოცვა და სურსათის უვნებლობის შესახებ განსაზღვრული კანონპროექტის აღსრულება
2. მხარდამჭერი პაკეტების მეშვეობით, საკვები პროდუქტის მწარმოებლებისა და ბიზნესოპერატორების ძალაში შესული სანიტარული და ფიტოსანიტარული / სურსათის უვნებლობის რეგულაციებთან შესაბამისობაში საქმიანობის გაუმჯობესებული მაჩვენებლები
3. DCFTA-ის ფარგლებში, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებული, უკეთესი სანიტარული, ფიტოსანიტარული და სურსათის უვნებლობის სისტემების მეშვეობით, გაუმჯობესებული საექსპორტო შესაძლებლობები საქართველოსთვის